შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას. ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების ფასდება: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

იმის მიუხედავად, რომ უსდ პერიოდულად უწევს ორგანიზებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებს და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი იღებს შესაბამის მხარდაჭერას, რიგ შემთხვევებში არ ხდება ამ მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე უნდა შეფასდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.სტუდენტს უნდა ჰქონდეს ინფორმაციამირებული შეფასების გასაჩივრების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“; ➢ სილაბუსები ➢ 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, დამტკიცებული „შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა“; ➢ ინტერვიუ სტუდენტებთან ➢ ინტერვიუ აკადემიურპერსონალთან ➢ ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge ➢ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება,შეფასების ზოგიერთი კომპონენტის დაზუსტება და პროგრამის თითოეულ კომპონენტში,შეფასების კონკრეტული მეთოდები განისაზღვროს სასწავლო კურსისსპეციფიკისა და გამოყენებული სწავლება/სწავლის თანამედროვემეთოდებიდან გამომდინარე. შეფასების კრიტერიუმები იყოს ნათლად გაწერილი სილაბუსში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოს ინფორმაციადა განემარტოთ შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთო		✓		

დოლოგიადაორ განიზება, პროგრამისათვი სებისშეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში, შეუძლია მიიღონ კონსულტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის, საგანმანთლებლო პროგრამის და ადმინისტრაციულ საკითხების შესახებ. ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილია საფაკულტეტო კომისია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობით; სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში(3 აქტივობა); პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი მემორანდუმი საერთაშორისო უნივერსიტეტეთან, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტს ესარგებლა საერთაშორისო მობილობით; სტუდენტებს ნაკლებად აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა; თუმცა, არ/ან იშვიათად იყენებენ ინტერნაციონალიზაციის მწირ შესაძლბლობებს. აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კმაყოფილები არიან საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

უსდ_ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით. ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების და ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables–ც (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია). თუმცასტუდენტებსარა აქვთ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“; ➢ სასწავლო კურსების პროგრამა (სილაბუსები); ➢ სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გადაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (აკადემიური საბჭოს დადგენილება 28.05.2013. № 936 დადგენილება). ➢ პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები. ➢ ფაკულტეტის ვებგვერდი ➢ უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება; სოციალურსაკითხთა, სპორტისადაკულტურისდეპარტამენტი, დებულება. ➢ ინტერვიუ სტუდენტებთან ➢ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაციას. სასურველია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებში გათვალისწინებული არის დამოუკიდებელი სამუშაოები, რომლის შესრულების პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ დოქტორანტთან. მეცნიერ ხელმძღვანელებს აქვთ სასურსათო ტექნოლოგიაში შესაბამისი დარგობრივი განათლება, სამეცნოეროპედაგოგიური ხარისხი, მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოსდილება, მონაწილეობდნენ როგორც საერთასორისო აგრეთვე ადგილობრივ სამეცნიეროკვლევით პროგრამებში რაც ასახულია გამოქვეყნებულ შრომებში სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს ფაკულტეტის თითოეულ პროფესორი, ასოცირებულ პროფესორი (მათ შორის მოწვეულს), ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარ/უფროს მეცნიერ-თანამშრომელი. ვინც, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებამდე, შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტში წერილობით წარადგენს ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნას კვლევის საგნის, თემის სავარაუდო დასახელების და მისი აქტუალურობის მითითებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე ბიუჯეტის პროექტი (დებულება - მუხლი 7.2);სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. სწავლების პირველ წელს დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის - დეტალურ გეგმას; სადისერტაციო კვლევის პროექტის სტრუქტურაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;კვლევის მეთოდოლოგია; ძირითადი საკვლევი საკითხები; დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი;კვლევის მოსალოდნელი შედეგები; დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ხელმძღვანელებს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტურის სტუდენტებთან და კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დოქტორანტთა უმრავლესობა პირველი წლის პირველ სემესტრს ასრულებდა. შეფასდა მათი ამ პერიოდისთვის გაწეული ნაშრომები (სემინარი, კოლოკვიუმი). თუმცა უნდა აღინნიშნოს, რომ გამოყენებული ლიტერატურაარ იყო დაფუძნებული უახლეს ინფორმაციზე, თანამედროვე კვლევებზე, აკადემიურ სტატიებსა და მონოგრაფიებზე.

სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, დოქტორანტს აქვს უფლება, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, განცხადებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა), სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც, ასვე, დოქტორანტის და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, როგორც წესი, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ვიზიტის დროს, ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია პასუხობდა უსდ_ს მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია აიყვანოს თანახელმძღვანელი, რომელსაც ექნება საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სადოქტორო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია:' ➢ საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისდებულებამაგისტრატურისშესახებაკადემიურისაბჭოს 2012 წლის 26 ივნისისდადგენილება №704 http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf ➢ საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრისბრძანება №65/ნ ➢ დოქტორანტურის დებულება ➢ პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები ➢ ინტერვიუ დოქტორანტებთან ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დოქტორანტთა სასემინარო ნაშრომებში სასურველია გამოყენებული ლიტერატურა იყოს დაფუძნებული უახლეს ინფორმაციზე, თანამედროვე კვლევებზე, აკადემიურ სტატიებსა და მონოგრაფიებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღ წევები, მათთანინდივი დუალურიმუშა ობა	✓			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლოპროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული საქმიანობით; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ

უნივერსიტეტში; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში ხორციელდება სათანადო კომპეტენციისა დაგამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მეშვეობით.თუმცა უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით პერსონალი ნაკლებად აქტიურია
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; ➢ აკადემიური პერსონალის ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი ➢ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; ➢ აკადემიურიდა მოწვეულიპერსონალისდატვირთვები ➢ ინტერვიუ განმახორციელებელ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომები უფრო მეტად იბეჭდებოდეს საერთაშორისო დონის მაღალრეიტინგულ გამოცემებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ამ მიზნით შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და წახალისების ფორმად დამატებით გამოიყენება საბონუსე სისტემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა და რომელიცგათვალისწინებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. პროგრამაში ჩართული პერსონალი პერიოდულად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ➢ შეფასების შედეგები. ➢ ინტერვიუადმინისტრაციასთან და ფინანსურ მენეჯერთან ➢ ინტერვიუ აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან ➢ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტები იმგვარადაა შერჩეული, რომ უზრუნველყოფს პრაქტიკაზე შესასრულებელი სამუშაოების შეუფერხებელ შესულებას. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოს ბიბლიოთეკების გაერთიანებული კატალოგით და EBSCO-ს ბაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სტუ–ს ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა; საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; ➢ სადოქტორო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ სილაბუსები ➢ ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა; ➢ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა. ➢ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან ➢ ინტერვიუ დოქტორანტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა არის მოთხოვნადი და მასზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა იზრდება. გარდა ამისა სპეციალობა სასურსათო ტექნოლოგია წარმოადგენს ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით).

უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან, ფაკულტეტისთვის პროცენტულად ხდება თანხის გამოყოფა, რომელსაც ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.პროგრამა ეკონომიკურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ პროგრამის ბიუჯეტი; ➢ ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და ფინანსურ მენეჯერთან ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან ➢ ინტერვიუ დოქტორანტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდებადაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა. თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გადამოწმებულ ზოგიერთ სილაბუსში აღმოჩნდა, რომ დასახვეწია სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები; გარკვეული სამუშაოა ჩასატარებელი ასევე სილაბუსის შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდების დაკონკრეტების თვალსაზრისითაც. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობის გააქტიურება, შესაძლოა, მათთვის ტრენინგების ჩატარება (მაგალითად, სწავლის შედგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და სხვ. მიმართულებით) მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ყველა ის ელემენტი, რომელსაც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, აგრეთვე, ეყრდნობაიმძირითადპრინციპებსადასტანდარტებს,რითაცხელმძღვანელობსუნივერსიტეტი თავისსაქმიანობაში.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობას კოორდინირებას

უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ძირითადად ჩართულია ყველა რგოლი. თითოეულ დეპარტამენტში, მათ შორის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდანაც გამოყოფილია პირი, რომელიც ჩართულია ფაკულტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისდაგეგმილაქტივობაში,რომელიც ეხება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას,ადამიანურიდამატერიალურირესურსებისშეფასებას,მონაცემებისშეგროვებასდა პროგრამის განვითარების გეგმებისდასახვას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის მიზნით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი,რომლისწევრებიშეირჩაშესაბამისიკომპეტენციისმიხედვითდამათშორისგანაწილდა პასუხისმგებლობები. ჯგუფში შევიდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი; აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სტუდენტი.

თვითშეფასების შევსებული კითხვარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განხილულიიქნაფაკულტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურშიშეთანხმებისადასტუ– ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენისმიზნით.

მიუხედავად სამსახურის მნიშვნელოვანი მიღწევებისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანება;
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგნელობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/06 დადგენილება;
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების

კითხვარები.

- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/
- საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი http://gtu.ge/quality/Files/Pdf/1125%20damtk%20cesi.pdf
- ინტერვიუ დოქტორანტებთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობის გაღრმავება, პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება სილაბუსებში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და შეფასება

დაწესებულება პროგრამის განვითარებისათვის იყენებს გარე შეფასების (პროგრამული აკრედიტაცია, ავტორიზაციის პროცესი) შედეგებს. პროგრამა განიცდის ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად პროგრამის შინაარსობრივ გაძლიერებაზე. 2012 წლიდან დღემდე პროგრამის გარე შეფასება შემოიფარგლებოდა წელიწადში ერთხელ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. გარდა ამისა, დაწესებულებამ

გარე შეფასებისათვის გამოიყენა 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს აუდიტის სამსახურმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მისცა რეკომენდაციები, რომელიც იძლევა საშუალებას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასებინოს საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესი; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნას საფაკულტეტო კომისიები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობით; შემუშავდა შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსადმთავრებულის კითხვარი, რომელიც სტუდენტს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. კითხვარი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობის და მათი შეფარდების, ასევე დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ კითხვებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგნელობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/06 დადგენილება; ➢ სტუდენტთა გამოკითხვები ➢ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან. ➢ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტაცია. ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სასწავლო მასალების და საგამოცდო მასალების, ასევე გამოცდების მონიტორინგი და გამოცდის შედეგების ანალიზი).ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას, სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ. 2018 წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე უსდ-ს და ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგა“ მონიტორინგი, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების, შესაძლო ცვლილებების და დასკვნების შემუშავება, მათი შესაბამისობა აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებთან. აღნიშნული პროცესის ფარგლებში რეგულარულად წარმოებს ბიბლიოთეკის წიგნადიფონდის(მათშორის, სახელმძღვანელოებისდა სხვა სასწავლომასალისფიზიკურიმდგომარეობის, რაოდენობის, სილაბუსებთან შესაბამისობის) შემოწ-მება; ანკეტირებული გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელებისხარისხის უზრუნველსაყოფად; სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლებისმოსაზრებების შესწავლა; სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების და ინსტრუქციების შემუშავება; პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დარგის სპეციალისტების მოსაზრებების და რეკომენდაციების შესწავლა და არსებული პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. სტუ-ს პერსონალისათვის განათლების სფეროში ბოლონიის პროცესთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედ რეგულაციებთან და სტანდარტებთან და სხვა აქტუალურ საკითხებზე საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტზე მოქმედი პროექტის

ფარგლებში ტრენინგების ჩატარება.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის წარმომადგენლებისაგან. მათი მოვალეობაა სწავლა–სწავლების ხარისხის შეფასება, როლის შედეგად სამსახურის ხელმძღვანელი წერს დასკვნას და წარუდგენს სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის და ასევე, შეფასების შედეგებს აცნობს ფაკულტეტის საბჭოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგნელობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/06 დადგენილება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა ასევე გარე);
- საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი http://gtu.ge/quality/Files/Pdf/1125%20damtk%20cesi.pdf;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf;
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ქეთევან კინწურაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლევან გულუა

ნიკა კიკნაძე